

გვირაბგამყვანი - 041452
პროფესიული სტანდარტი

I. სფეროს აღწერა

გვირაბგამყვანის საქმიანობა სამთო საწარმოთა ფუნქციონირების მნიშვნელოვანი ნაწილია. გვირაბგამყვანის პროფესია მოიცავს გვირაბების საგამყვანო პროცესში მონაწილეობას, ცალკეული საგამყვანო ოპერაციების უწყვეტ შეფასებასა და მონიტორინგს, საგამყვანო პროცესებში ხარვეზების გამოვლენასა და მომსახურების სრულყოფას, ცალკეულ საგამყვანო პროცესში მონაწილეობას და მათ კოორდინაციას.

II. დასაქმების სფერო

გვირაბგამყვანი არის სამთო საწარმოს თანამშრომელი, რომელიც მუშაობს საგამყვანო პროცესების წარმოებაზე, ცალკეული გვირაბის გაყვანის ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით, სხვადასხვა სამთო-გეოლოგიურ გარემოში: ერთგვაროვან, არაერთგვაროვან ქანთა მასივებსა და წყალშემცველ ქანებში.

III. საგანმანათლებლო პროგრამა და კვალიფიკაცია

გვირაბგამყვანის პროფესიული განათლება არის სამსაფეხურიანი (III, IV და V). თითოეულ დონეზე შემუშავდება შესაბამისი პროფესიული პროგრამა, რომლის დასრულების შემდეგ სტუდენტს ენიჭება შესაბამისი საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია და გაცემა პროფესიული დიპლომი.

გვირაბგამყვანის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს მინიმუმ 60 კრედიტს. აქედან, მინიმუმ 40% ეთმობა საწარმოო პრაქტიკას. კურსდამთავრებულს ენიჭება გვირაბგამყვანის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

გვირაბგამყვანის მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს მინიმუმ 40 კრედიტს. აქედან, მინიმუმ 40% ეთმობა საწარმოო პრაქტიკას. კურსდამთავრებულს ენიჭება გვირაბგამყვანის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

გვირაბგამყვანის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს მინიმუმ 60 კრედიტს. აქედან, მინიმუმ 40% ეთმობა საწარმოო პრაქტიკას. კურსდამთავრებულს ენიჭება გვირაბგამყვანის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

IV. გვირაბგამყვანის პროფესიულ კვალიფიკაციათა აღმწერი

გვირაბგამყვანის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის აღმწერი

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>აქვს სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა, აცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს;</p>	<p>შეუძლია: სამუშაო ადგილას გარკვეული დამოუკიდებლობით შეასრულოს წინასწარ განსაზღვრული დავალებები: ქანების მანქანური მონგრევა სანგრევეში, დროებითი და მუდმივი სამაგრი კონსტრუქციების დამონტაჟება, საგამყვანო კომბაინის, დამტვირთავი მანქანისა და საბურღი მანქანის მართვა, ამფეთქებლის ხელმძღვანელობით შპურების ბურღვა, დამუხტვა, მოტენვა და ასაფეთქებელი ქსელის მოწყობა გვირაბის გაყვანის ტექნიკის, ტექნოლოგიისა და ქანების აფეთქების ძირითადი მეთოდების, ინსტრუქციების და მასალების გამოყენებით.</p> <p>იცნობს გვირაბების გარემომცველ ქანთა მასივების თვისებებს, სამთო გვირაბების გაყვანისათვის დამახასიათებელ ძირითად პრინციპებსა და ზოგად კონცეფციებს, აცნობიერებს სასარგებლო წიაღისეულის გახსნა-მომზადებისათვის საჭირო სამთო გვირაბების თავისებურებებს და გვირაბების გაყვანისთვის საჭირო ძირითად პროცესებს.</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია გამოიყენოს სფეროს სპეციფიკისათვის დამახასიათებელი უნარების ფართო სპექტრი, შეაფასოს დავალებების შესასრულებლად სხვადასხვა მიდგომა, შეარჩიოს და მიუსადაგოს სათანადო მეთოდები, ინსტრუმენტები და მასალები.</p>	<p>შეუძლია გვირაბების გაყვანა-გამაგრების პროცესში გამოიყენოს დამტკიცებული ინსტრუქციები და წესები; პრობლემების წარმოქმნის შემთხვევაში გააკეთოს ამ პრობლემის იდენტიფიცირება და მოახდინოს ადეკვატური რეაგირება ხელმძღვანელის მითითებების გათვალისწინებით.</p> <p>შეუძლია: პრაქტიკაში გამოიყენოს გვირაბმშენებლობის სპეციფიკისათვის დამახასიათებელი ცოდნა და უნარების ფართო სპექტრი; ხელმძღვანელის დავალებით დამოუკიდებლად შეასრულოს ქანების მონგრევისა და გვირაბების გაყვანა-გამაგრების ოპერაციები, როგორც ერთგვაროვან, ასევე არაერთგვაროვან ქანთა მასივებში მათი მშენებლობის დროს; პროექტის საფუძველზე შეაფასოს გარემომცველი ქანთა მასივები და გვირაბების გაყვანასთან დაკავშირებული დავალებების შესასრულებლად სხვადასხვა მიდგომა, შეარჩიოს და მიუსადაგოს სათანადო მეთოდები, ინსტრუმენტები და მასალები.</p>

დასკვნის უნარი	შეუძლია განსხვავებულ სიტუაციებში წამოქმნილი პრობლემების გადასაჭრელად ინფორმაციის ცნობილი წყაროებით სარგებლობა, მათი შეფასება და ანალიზი.	შეუძლია განსხვავებულ სამთო-ტექნიკურ სამუშაო სიტუაციებში პრობლემების წამოჭრის შემთხვევაში ისარგებლოს არსებული ინსტრუქციებით და წესებით, შეაფასოს მოსალოდნელი შედეგები, გააკეთოს ანალიზი და მოახდინოს ადეკვატური რეაგირება.
კომუნიკაციის უნარი	შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე განსხვავებულ სიტუაციებში, ეფექტიანად იყენებს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, შეუძლია უცხო ენის პრაქტიკული გამოყენება.	შეუძლია: გვირაბის გაყვანის ტექნოლოგიისა და აფეთქების საკითხებზე ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია თანამშრომლებსა და ხელმძღვანელებთან ინფორმაციის გაცვლის, ასევე ტექნიკური საკითხებისა და პრობლემების მოგვარების მიზნით; განსახორციელებელი სამუშაოს წერილობითი მითითებების, ხელსაწყოებისა და მასალების აღწერილობების გაგება; მარტივი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საშუალებით საჭირო ინფორმაციის მოძიება მისთვის საინტერესო ტექნოლოგიური პროცესის შესახებ; შეუძლია სპეციალურ ლიტერატურაში საჭირო ინფორმაციის მოძიების გზით შეიძინოს ზოგიერთი ახალი პროფესიული პრაქტიკული ცოდნა და უნარი. აქვს უნარი, რეგულარულად შეადგინოს საწარმოო ანგარიშები; შეუძლია საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საშუალებით მოიძიოს მისთვის საჭირო ინფორმაცია ტექნოლოგიური პროცესების უკეთ განსახორციელებლად; იყენებს უცხო ენას მომხმარებელთან და კოლეგებთან ურთიერთობისას.
სწავლის უნარი	შეუძლია წინასწარ განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება.	შეუძლია გვირაბგაყვანის სხვადასხვა ტექნოლოგიის საფუძვლების ათვისება და ახალი ტექნოლოგიებისა და მეთოდების სწავლის საჭიროებების განსაზღვრა.
ღირებულებები	განსხვავებულ სიტუაციებში მოქმედებს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად.	პასუხისმგებლობით ეკიდება გვირაბების საგამყვანო ოპერაციების შესრულებას ხარისხიანად და პროექტის სრული დაცვით; გათავისებული აქვს გვირაბმშენებლობის პროცესში გარემოს უსაფრთხოების დაცვის აუცილებლობა. შეუძლია: სამუშაო ადგილას გარკვეული დამოუკიდებლობით შეასრულოს წინასწარ განსაზღვრული დავალებები.

გვირაბგამყვანის მეოთხე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი

ცოდნა და გაცნობიერება	აქვს სფეროს ფაქტობრივ გარემოებებსა და თეორიულ საფუძვლებზე დამყარებული ცოდნა, აცნობიერებს პრობლემების გადაჭრის ზოგად შესაძლებლობებს.	ფლობს გვირაბების გარემომცველ ქანთა მასივებისა და გვირაბების მდგრადობის შეფასებისათვის საჭირო ცოდნას; იცის კაპიტალური და მოსამზადებელი გვირაბების გაყვანა-გამაგრების მეთოდები, ტექნიკა და ტექნოლოგია; ფლობს სამთო სამუშაოების პროცესთა დაპროგრამების საფუძვლებს აცნობიერებს ტექნიკური პრობლემების გადაჭრის შესაძლებლობებს. იცის ინფორმატიკისა და მენეჯმენტის საფუძვლები.
-----------------------	---	---

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	შეუძლია, სამუშაოს დაგეგმვისა და შესრულების პროცესში გამოიყენოს სანდო ინფორმაციის წყაროები, შეიმუშაოს სტრატეგია წამოჭრილი სპეციფიკური ამოცანის დასაძლევად და შეაფასოს მიღებული შედეგები შესრულებული სამუშაოს გაუმჯობესების მიზნით.	შეუძლია კაპიტალური და მოსამზადებელი გვირახის მშენებლობის პროცესში გამოიყენოს სანდო ინფორმაციის წყაროები, შეიმუშაოს სტრატეგია გვირახის გაყვანისას წამოჭრილი სპეციფიკური ამოცანის გადასაჭრელად; დაიცვას და სრულყოს საგამყვანო სამუშაოთა მენეჯმენტი.
დასკვნის უნარი	შეუძლია სპეციფიკური პრობლემების გადასაწყვეტად შესაბამისი მიდგომის შემუშავება, ალტერნატიული შესაძლებლობების განხილვა და მიღებული შედეგის ანალიზი.	შეუძლია; გვირახების გაყვანის სამუშაოთა შესრულების პროცესის კონტროლი, მათი გაუმჯობესების გზების დაგეგმვა; გვირახების გაყვანა-გამაგრების პრობლემების გადასაწყვეტად შესაბამისი მიდგომის განხილვა, მიღებული შედეგების ანალიზი და გადაწყვეტილების მიღება.
კომუნიკაციის უნარი	შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე ცვალებად სიტუაციებში, ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დამოუკიდებლად ათვისება, უცხოურ ენაზე მიღებული პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის დამუშავება.	შეუძლია; ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია გვირახმშენებლობასთან დაკავშირებულ საკითხებზე სხვადასხვა სამთო-ტექნიკურ პირობებში; საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით ინფორმაციის მოპოვება გვირახმშენებლობის ტექნიკური და ტექნოლოგიური ხასიათის სპეციფიკური ამოცანების გადასაჭრელად; გვირახმშენებლობასთან დაკავშირებული უცხოენოვანი ინფორმაციის დამუშავება.
სწავლის უნარი	შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების დამოუკიდებლად განსაზღვრა განჭვრეტად, თუმცა ნაწილობრივ ცვალებად, ვითარებაში.	შეუძლია გვირახმშენებლობის სფეროში არსებული ტექნოლოგიური ხასიათის სიახლეების თვალყურის დევნება და ცოდნის სისტემატიურად გაღრმავება, გვირახმშენებლობის ახალი ტექნოლოგიების სწავლა და სამუშაო ადგილას ადაპტაცია.
ღირებულებები	პასუხისმგებლობით ეკიდება პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებს და ცვალებად სიტუაციებში მოქმედებს მათ შესაბამისად.	მკაცრად იცავს საპროექტო და ტექნიკურ წესებსა და ნორმებს. ზრუნავს შრომის უსაფრთხოების წესების დაცვაზე და იცავს გარემოს უსაფრთხოებას.

გვირახგამყვანის მეხუთე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>აქვს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული მრავალმხრივი და/ან სპეციალიზებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, აცნობიერებს პროფესიული საქმიანობის შესაძლებლობებს (საზღვრებს).</p>	<p>ფლობს გვირაბების გარემომცველ ქანთა მასივებისა და გვირაბების მდგრადობის შეფასებისათვის საჭირო ცოდნას; იცის მცირე და დიდი კვეთის გვირაბებისა და კამერების მშენებლობის მეთოდები, ტექნიკა და ტექნოლოგიები, როგორც ჩვეულებრივ, ასევე რთულ სამთო-გეოლოგიურ პირობებში; ფლობს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ მენეჯმენტს, სპეციალიზებულ თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას, აცნობიერებს პროფესიული საქმიანობის შესაძლებლობებს.</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრის გამოყენება აბსტრაქტული პრობლემების შემოქმედებითად გადასაწყვეტად.</p>	<p>როგორც ჩვეულებრივ, ასევე რთულ სამთო-გეოლოგიურ პირობებში მცირე და დიდი კვეთის გვირაბებისა და კამერების გაყვანის პროცესში შეუძლია დამოუკიდებლად შეასრულოს საგამყვანო ოპერაციები: ქანის მონგრევა, დროებითი და მუდმივი სამაგრის ამოყვანა, გარემომცველი ქანების გაყინვის, ცემენტაციისა და ბითუმიზაციის სამუშაოები, სანგრევიდან წყლის მოცილებისა და წყალდაწევის სამუშაოები, კესონის მეთოდით გვირაბის გაყვანის პროცესები, ჩასასობი და ჩასაშვები სამაგრი კონსტრუქციების მონტაჟი; შეუძლია სამთო გვირაბებისა და კამერების გაყვანა-გამაგრების სამუშაოთა მენეჯმენტის განხორციელება.</p>
<p>დასკვნის უნარი</p>	<p>შეუძლია კარგად განსაზღვრული პრობლემების ამოცნობა, მათი გადაჭრისათვის სათანადო მონაცემების იდენტიფიცირება და ანალიზი სტანდარტული მეთოდების გამოყენებით, ასევე დასაბუთებული დასკვნების გაკეთება.</p>	<p>შეუძლია გვირაბმშენებლობის საპროექტო დოკუმენტაციის მოთხოვნების, ტექნიკური ნორმებისა და წესების ზუსტად შესრულების კონტროლი, დარღვევების იდენტიფიცირება, ანალიზისა და დასკვნის საფუძველზე ამ დარღვევების აღმოფხვრისა და შედეგების გამოსწორების გზების დასახვა.</p>
<p>კომუნიკაციის უნარი</p>	<p>შეუძლია იდეებისა და ინფორმაციის სტრუქტურირებულად და თანმიმდევრულად გადაცემა სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ხარისხობრივი და რაოდენობრივი ინფორმაციის გამოყენებით. იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. შეუძლია უცხოურ ენაზე პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემა და ანგარიშის წარდგენა.</p>	<p>შეუძლია: გვირაბმშენებლობის ტექნოლოგიურ მხარესთან დაკავშირებული თანამედროვე სპეციალური ლიტერატურის გაგება და ანალიზი; ტექნიკური საკითხების ირგვლივ ხარისხობრივი და რაოდენობრივი ინფორმაციის მოპოება თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით; სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან ამ ინფორმაციისა და მასთან დაკავშირებული იდეების გაცვლა; საკმარისი მოცულობით ფლობს უცხო ენებს, რათა დაამყაროს პროფესიული კონტაქტები არსებულ სფეროში და წარადგინოს ანგარიში.</p>

სწავლის უნარი	შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების განსაზღვრა ცვალებად და გაუთვალისწინებელ ვითარებაში.	შეუძლია; საკუთარი სწავლის მიმართულებების განსაზღვრა სამშენებლო ან სხვა საინჟინრო მიმართულებით; მომავალი პროფესიული საქმიანობის დაგეგმვა.
ღირებულებები	აფასებს თავისი და სხვების დამოკიდებულებას პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებთან და უზიარებს სხვებს.	განუხრელად იცავს და სხვებისგანაც მოითხოვს საპროექტო დოკუმენტაციის მოთხოვნების, ტექნიკური ნორმებისა და წესების ზუსტად შესრულებას. ატარებს შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვით ღონისძიებებს.